ოქმი N7

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი

2021 წლის 28 ივლისი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 12

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. თემურ გულუა
8. ბექა მამაცაშვილი
9. მერაბ ფილიპია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომას ვერ ესწრებიდა (შვებულებაში ყოფნის გამო) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე (ტ. ალექსანდრია) და გამომდინარე აქედან დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხს წარმოადგენდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ამავე კომისიის წევრი მამუკა ქარდავა.

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 26 ივლისის N50-502120741 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: მ. ქარდავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 28 ივლისის N50-502120944 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის

სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. გელანტიას 2021 წლის 28 ივლისის N50-50212098 განცხადების განხილვა („ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შექმნის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 26 ივლისის N50-502120741 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: მ. ქარდავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე)

მოისმინეს: მ. ქარდავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 383,4 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსულობები, შემოსულობების ზრდით მიღებული

ასიგნებები 383,4 ათასი ლარი (383,4 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის" ,,არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებებზე 373,4 ათასი ლარით, კერძოდ: 168,4 ათასი ლარი - ქვეპროგრამის ,,გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ასიგნებაზე, მათ შორის: 168.4 ათასი ლარი - ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება, 175,0 ათასი ლარი - ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია" ასიგნებაზე, მათ შორის: 60,0 ათასი ლარი - საბავშვო ბაღების (21 საბავშვო ბაღი) ელმომარაგების ქსელის მოწესრიგების სამუშაოების ასიგნება, 15,0 ათასი ლარი - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის ელმომარაგების ქსელის მოწესრიგების სამუშაოების ასიგნება, 100,0 ათასი ლარი - მერიის ადმინისტრაციულ შენობაში შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურითვის სამუშაო ფართის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება, 30,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია" ასიგნებაზე, აქედან: 21,0 ათასი ლარი - შპს "ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება"-ს სუბსიდია, მათ შორის: 4,5 ათასი ლარი - ჭაბურღილის ამოწმენდის და 16,5 ათასი ლარი - სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების ასიგნება, 9,0 ათასი ლარი - ტუმბოს ძრავით და მართვის კარადით შეძენის ასიგნება, ,,სხვა ხარჯები"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი ,,სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები". პრიორიტეტის ,,კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებებზე 10,0 ათასი ლარი, აქედან: 10,0 ათასი ლარი - პროგრამის ,,ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება", მათ შორის: 10,0 ათასი ლარი - ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ასიგნება, გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2021 წლის 28 ივლისის N50-502120944 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის №8 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია №8 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-10 პუნქტთან დაკავშირებით მიღებული შენიშვნები და შესაბამისი ცვლილება ხორციელდება პროექტის დაფინანსების (თანადაფინანსების) შემთხვევაში ადგილობრივ ბიუჯეტში საჭირო თანხის გამოყოფისთვის განსაზღვრულ პროცედურაში. რაც შეეხება სამართლებრივ დასკვნაში ასახულ სხვა შენიშვნებს: ა) ინიციირებული პროექტების დაფინანსებისთვის (თანადაფინანსებისთვის) აუცილებელი თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილ „ხობის მუნიციპალიტეტის

2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების პროექტში მიმდინარე ეტაპისთვის ასახულია 10000 ლარი ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსებისთვის; ბ) ინიციირებული პროექტების დაფინანსებასა თუ თანადაფინანსებასთან დაკავშირებული კრიტერიუმები განსაზღვრულია წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით, რომლის მიხედვითაც საკითხი განიხილება სპეციალურად ამ მიზნებისთვის შექმნილი კომისიის მიერ, საპროექტო განაცხადის/განაცხადის პრიორიტეტულ მიმართულებებთან შესაბამისობის, დასაბუთებულობის, აქტუალურობის, ხარჯთეფექტურობის, დაფინანსების (თანადაფინანსების) მოცულობისა და თანადაფინანსების წილის განსაზღვრის (მიზანშეწონილობის), ასევე მისი განხორციელებისთვის განმცხადებლის უნარის/შესაძლებლობების დადგენისა და ბენეფიციარების/მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის დონის ანალიზის საფუძველზე. ამასთან, ამავე მუხლით, გარდა კომისიური წესით მიღებული გადაწყვეტილებისა, ინიციირებული საკითხი ასევე განიხილება კომისიამდე - შესაბამისი სამსახურის მიერ, ხოლო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების შემდგომ - მუნიციპალიტეტის მერის მიერ. რამოდენიმე წინადადების არსებობის შემთხვევაში კი გადაწყვეტილება მიიღება ამავე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად; გ) დაფინანსებისთვის (თანადაფინანსებისთვის) გაფორმებული ხელშეკრულება ვერ მოექცევა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციების სფეროში, ვინაიდან დასაფინანსებელი პროექტი ხორციელდება ინიციატორის მიერ და არა მერიის მხრიდან, რის გამოც იგი ვერ აისახება შესყიდვების გეგმაში და ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდება მისი დაფინანსება (თანადაფინანსება) არა როგორც მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული აქტივობა. გამომსვლელის განცხადებით, კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების წარმოდგენილი სახით მიღება, ვინაიდან ის არ პასუხობს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ 2021 წლის 9 ივნისის N03-51211603-51 წერილით წარმოდგენილ სამართლებრივ შენიშვნებს. კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ მერიის მიერ ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა 10 000 ლარი პროგრამის „ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება“ (პროგრამული კოდი 05 03) ასიგნებაზე - ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ასიგნება, აღნიშნული მუხლიდან ვერ დაფინანსდება, გარდა ახალგაზრდული პროექტებისა, ის პროექტები, რომელთა

დაფინანსებასაც ასევე ითვალისწინებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის №8 დადგენილებით დამტკიცებული ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. გელანტიას 2021 წლის 28 ივლისის N50-50212098 განცხადების განხილვა („ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შექმნის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შექმნის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და კომისიის დასკვნა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა ჯობავამ პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. განცხადება განხილულ იქნა ფრაქციის სხდომაზე და ფრაქციის გადაწყვეტილებით გოჩა ჯობავა განთავისუფლდა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციიდან და გარიცხულ იქნა ფრაქციიდან. ფრაქციის იმავე სხდომაზე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ

იქნა აკაკი ხურცილავა. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა